მწვანე ალტერნატივა

მისამართი: თბილისი, 0179, ფალიაშვილი ქ. .#27/29, II სართული
ტელეფონი: (+995 32) 22 38 74 / 29 27 73
ფაქსი: (+995 32) 22 38 74
ეს-ფოსტა: greenalt@greenalt.org

04 / 03- 256
"13" მაისი, 2011

საქართველოს მთავრობას

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:
ასოციაცია მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე

ადმინისტრაციული საჩივარი

გასაჩივრებული მოქმედება:
საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის უარი (გადაწყვეტილება) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:
დაევალოს საქართველოს მთავრობას გადასცეს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას' 2011 წლის 4 აპრილის განცხადებით (#04/03-250) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

ფაქტობრივი გარემოებანი:

1. 2011 წლის 4 აპრილს მწვანე ალტერნატივამ განცხადებით (#04/03-250) მიმართა საქართველოს მთავრობას და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37–ე, მე-40 მუხლების თანახმად, მოითხოვა საქართველოს მთავრობის 2010 წლის №415–ე, 416–ე, 417–ე, 418–ე, 419–ე,420–ე. 421–ე,422–ე, 425–ე, 431–ე, 432–ე, 433–ე, 434–ე განკარგულებებისა და მათი მიღების აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების გადმოცემა.

მტკიცებულება: დანართი №1 - მწვანე ალტერნატივას 2011 წლის 4 აპრილის განცხადება.

2. საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის №25/57 წერილით მწვანე ალტერნატივას განცხადება საჯარო ინფორმაციის სახით საქართველოს მთავრობის განკარგულებების გადმოცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა. კერძოდ: წინამდებარე წერილის თანახმად, მწვანე ალტერნატივას 2011 წლის 6 აპრილის განცხადების პასუხად ეცნობა, რომ განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის კანცელარიას მიღებული აქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, რაზედაც განმცხადებელს ეცნობა 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 წერილით.

მტკიცებულება: დანართი №2 - საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის №25/57 წერილი.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177.3 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით, ამავე კოდექსის 180.2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–40 მუხლით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის №25/57 წერილი არ აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი). მაშასადამე, წინამდებარე წერილი ფორმალურ–სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს, არამედ რეალაქტს.
3. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: ა) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები. ბ) საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.
4. საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის №25/57 წერილით საქართველოს მთავრობამ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–40 და 41–ე მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, მწვანე ალტერნატივას არ გადმოსცა 2011 წლის 6 აპრილის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დადგენილ ვადაში, ასევე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში მასვე ეკისრებოდა ვალდებულება გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში წერილობით განემარტა განმცხადებლისათვის მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე უნდა მიეთითებინა ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას. მოცემულ შემთხვევაში განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ წარდგენილია საქართველოს მთავრობაში, რომელიც სზაკ–ის 2.1 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და ამავე კოდექსის 3.1 მუხლის თანახმად ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება

საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ განმცხადებელს ეცნობა საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ხელმოწერილი წერილით. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე 2011 წლის 15 აპრილის №25/57 წერილით განმცხადებელს არ განემარტა მისი გასაჩივრების წესი ადმინისტრაციულ საჩივარს წარმოვადგენთ საქართველოს მთავრობაში, რომელსაც 185–ე, მე–80 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, ეკისრება ვალდებულება განსაზღვროს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო უკეთუ მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას და შესაბამისი დასაბუთებით 2 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს განმცხადებელს აღნიშნულის თაობაზე.

5. წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა, (საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის წერილი 2011 წლის 6 აპრილის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ ჩაგვბარდა 2011 წლის 27 აპრილს), არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, რის გამოც გთხოვთ, მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში და განიხილოთ იგი ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირების აუცილებელი მონაწილეობით.

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

1. მწვანე ალტერნატივას 2011 წლის 4 აპრილის განცხადება (#04/03-250), 6 ფურცელი.
2. საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის №25/57 წერილი, 1 ფურცელი.
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, 2 ფურცელი.
4. რწმუნებულება, 1 ფურცელი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,



ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი